ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 14

ქ. თბილისი

12.09.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლა

მარინე მჭედლიშვილი - დირექტორი

თამარ ესიტაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

2. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა

მეუფე იოანე (გამრეკელი)- დირექტორი, საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელი.

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე

ცირა ნიკოლაშვილი

ნინო ფეტვიაშვილი

მიხეილ ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივნის არ ყოფნის გამო დებულების 22 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრ რევაზ აფხაზავას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა

2. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრ რევაზ აფხაზავას, რომელიც ესწრებოდა სააპელაციო საბჭოს მიერ წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის საკითხის განხილვას მიმართა და სთხოვა, საბჭოს წევრებისთვის გაეზიარებინა სააპელაციო საბჭოზე განხილული საკითხის დეტალები.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ საკითხის განხილვისას სკოლაში ის პრობლემები აღმოფხვრილი იყო, რის გამოც სკოლამ ვერ გაიარა ავტორიზაცია. სკოლამ ამ ეტაპისთვის იქირავა შენობის მეორე სართულის ფართი და შესაბამისად სველი წერტილების პრობლემაც აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, მოეხსენებინათ საბჭოს წევრებისთვის სკოლის მიერ მოწოდებული იმ დოკუმენტაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც დასტურდებოდა ხარვეზების გამოსწორება.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე სკოლას ჰქონდა ტუალეტების საჭირო რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რამდენი საკლასო ოთახი ჰქონდა სკოლას. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 12 დაკომპლექტებული საკლასო ოთახი და 6 ცარიელი საკლასო ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 205 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 205-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლას (ს/კ:405159590) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205-ით.

საბჭოს სხდომას 16:40 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი მაკა მამფორია.

2. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ფეტვიაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
2.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა გაეზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი, რისთვისაც წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი და სავარაუდო საგაკვეთილო ცხრილი ორ ცვლაში. მეორე ცვლა ითვალისწინებდა მე-5 და მე-6 კლასების საათობრივ დატვირთვას. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს , რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებო საშუალო სკოლა, საჯარო რეესტრის 2015 წლის 02 თებერვლის ამონაწერის მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩა N1 ა.-ზე არსებულ 7065 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებული იყო 3748.35 კვ.მ-ის შენობა ნაგებობები. ფართის მესაკუთრე იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აღნიშნული ფართი 2017 წლის 18 დეკემბრის უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას 2008 წლის 26 სექტემბრის უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების მიხედვით გადაცემული ჰქონდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებო საშუალო სკოლისთვის. ნათხოვრობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 10 წელი. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული თხოვების ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გასდიოდა 2018 წლის 26 სექტემბერს, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ განახლებულ დოკუმენტს წარმოადგენდნენ საბჭოს სხდომაზე. სკოლის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს აღნნიშნული დოკუმენტაცია.

დაწესებულების შენობა-ნაგებობები შედგებოდა ერთი ადმინისტრაციული და ორი სასწავლო კორპუსისაგან, რომლებშიც განთავსებული იყო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო და საკლასო ოთახები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლოები, სააქტო და სპორტული დარბაზი.

სკოლა მეორე ცვლაში სწავლის განხორციელებას აპირებდა არსებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების ხარჯზე. კერძოოდ, მე-8 კლასებისთვის VI და VII გაკვეთილების შესაბამის ლაბორატორიებსა და სპორტულ მოედნებზე ჩატარებას და საკლასო ოთახების გათავისუფლებას, რაც შესაძლებელს გახდიდა მეორე ცვლისათვის ოთახები დალაგებულიყო, განიავებულიყო და მეორე ცვლაში სწავლებაც უფრო ადრე დაწყებულიყო.

დაწესებულების სასწავლო შენობებში განთავსებული იყო 45 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო მერხებით, სკამებით, დაფებით, კარადებითა და სასწავლო პროცესის ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სკოლას ჰქონდა 1005 ერთადგილიანი მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი.

სასკოლო სასწავლო გეგმისთ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა კლასში განსაზღვრული იყო 20 მოსწავლით. სკოლაში ვიზიტის დროს ირიცხებოდა 835 მოსწავლე. 2017 წლის 17 მარტის ავტორიზაციის საბჭოს N58-ე გადაწყვეტილებით ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 840 მოსწავლით.

დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1000 მოსწავლემდე გაზრდა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აპირებდა დამატებით სასწავლო კორპუსის აშენებას სკოლის ტერიტორიაზე, რის შემდეგაც სკოლა სწავლებას განახორციელებდა ისევ ერთ ცვლაში.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ ჰკითხა სკოლის წარმომადგენელს, როდისთვის უნდა დასრულებულიყო ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2 წლის განმავლობაში დასრულდებოდა მშენებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, სკოლას ჰყავდა სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში 112 თანამშრომელი იყო, მათ შორის 86 მასწავლებელი, აგრეთვე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას.

სკოლის მართვას ახორციელებდა სკოლის დირექტორთა საბჭო და მასთან არსებული ადმინისტრაცია. დირექტორთა საბჭო შედგებოდა 4 პირის - თავმჯდომარის, სასწავლო და აღმზრდელობითი ნაწილის, საფინანსო ნაწილის და სამეურნეო ნაწილის დირექტორებისაგან, სკოლის მოძღვრის, დირექტორის 2 მოადგილის - სასწავლო და აღმზრდელობითი დარგების და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსისაგან.

ექსპერტის თქმით, სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება და შეთანხმება. ხელშეკრულებები შეესაბამებოდა შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებები თავმოყრილი იყო ცალკე საქაღალდეში. სკოლაში აწარმოებდნენ ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის ალტერნატიული სქემა, რომელიც განიხილა და თავსებადად სცნო სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა. ცენტრიდან მიღებული იყო ელექტრონული წერილი, რომლის თანახმად სკოლას შეეძლო დაეწყო მუშაობა ალტერნატიული სქემის მიხედვით. გარდა ამისა, სკოლის წარდგინების საფუძველზე, საპატრიარქოსთან არსებული მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი უფინანსებდა დამატებით ტრენინგებში მონაწილეობას სკოლის მასწავლებლებს მათი სურვილისა და დამსახურების მიხედვით. ასევე, ტარდებოდა ტრენინგები სკოლის შიდა რესურსის გამოყენებით. საპატრიარქოსთან არსებული მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი უფინანსებდა სხვადასხვა ტრენინგში მონაწილეობას სკოლის დირექტორატისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი, კერძოდ მოსწავლეთა ადგილების 1000 - ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის სესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33 - ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34 - ე

მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ205241148) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 17:20 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარე

მანანა რატიანი

საბჭოს მდივანი

რევაზ აფხაზავა